

# კინგის ქართული ენის ოლიმპიადა - II ტური

## X კლასი

### I სავარჯიშო – ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ, ან გ (20 ქულა)

1. ეს შეიძლება, უკანასკნელი რომანი აღმოჩნდეს არა მარტო ჩემთვის, არამედ საერთოდ – ოცდამეერთე საუკუნეში რომანისთვის ( ლიტერატურულ ჟანრს ვგულისხმობ ) აღარავინ მოიცლის და გინდაც მოიცალოს, ირონიული ღიმილით თუ ჩაიკითხავს ბოლომდე, რაც არ უნდა დიდი ადამიანური ტრაგედია იყოს შიგ ალწერილი.
2. მეოცე საუკუნე (ხელოვნების ჩათვლით) უადამიანო ადამიანის ჩამოყალიბებაში დაიხარჯა– არც მთლად უშედეგოდ! რაც უფრო მეტ სიმხეცესა და სიბილწეს აღმოაჩენდი ადამიანში , მით უფრო დიდ ხელოვნად ჩაითვლებოდი.
3. განა მართლა ეს არის ხელოვნების დანიშნულება? მიწოდება ? იქნებ იმის მიჩქმალვაა, იქნებ სწორედ ამისთვის უნდა აერიდებინა მწერალს მკითხველის (მნახველის, მსმენელის) თვალი? მაგრამ სინამდვილეში ხელოვნების დანიშნულება ხომ ჭეშმარიტების, სინამდვილის, ადამიანის სამსახურია?!
4. ოიდიპოსმა როგორც კი შეიტყო საკუთარი და, რაც მთავარია, უნებლიე „არაადამიანურობის“ შესახებ, მაშინვე თვალეზი დაითხარა და კეთროვანივით განერიდა ცხოვრებას.ეს მოხდა კაცობრიობის გარიჟრაჟზე, მაგრამ კაცობრიობამ ამ გზით სიარული კი არა, ამ გზის საპირისპირო გზების აღმოჩენა დაისახა მიზნად.
5. ოიდიპოსი ანაქრონიზმად იქცა და , უპირველეს ყოვლისა, თავისი კეთილშობილების, გულუბრყვილობის, პატიოსნების, ღირსებისა და სიამაყის გამო, მოკლედ, თავისი ადამიანობის გამო. „არაადამიანურობის“ დაცვა და გამართლება , ცხოვრების წესად ქცევა, – აი, მეოცე საუკუნის ლიტერატურისა და საერთოდ ხელოვნების სტიმულიცა და მიზანიც, რასაკვირველია, მცირე გამონაკლისის გარდა. თუ არა ისინი, უკვე დიდი ხნის დამთავრებული იქნებოდა ადამიანის გაარაადამიანურობის პროცესი.

### 1. რა არის პირველი აბზაცის მთავარი სათქმელი?

- ა) რომანში მთავარი ადამიანური ტრაგედიის აღწერაა;
- ბ) რომანს უფრო დიდი, მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია მწერლობაში, ვიდრე ადამიანის ტრაგიკული სახის შექმნაა;
- გ) რომანის საკითხავად არავინ იცლის;

### 2. მეორე აბზაცის მიხედვით რაში დაიხარჯა მე–20 საუკუნე ?

- ა) უადამიანო ადამიანის ჩამოყალიბებაში;
- ბ) ადამიანის დადებითი თვისებების აღწერაში;
- გ) სიმართლის თქმაში;

### 3. რა აკავშირებს I და II აბზაცს ერთმანეთთან?

- ა) II აბზაცი ხსნის I აბზაცში დაწყებულ აზრს;
- ბ) ამ აბზაცებს კავშირი არ აქვთ;
- გ) II აბზაცი აბუნდოვანებს I აბზაცში გამოთქმულ აზრს;

### 4. რა არის მე–3 აბზაცის მთავარი ფუნქცია?

- ა) განსაზღვროს ჭეშმარიტი ხელოვნების (კონკრეტულად რომანის) არსი;
- ბ) დასვას კითხვები;
- გ) იმსჯელოს მწერლობაზე;

5. რა აკავშირებს მე-3 აბზაცს მე-2 აბზაცთან?
  - ა) მკითხველს თვალი აუხილოს;
  - ბ) მე-3 აბზაცი აგრძელებს მე-2 აბზაცში დაწყებულ აზრს;
  - გ) მათ საერთო არ აქვთ;
6. რა არის მე-4 აბზაცის მთავარი სათქმელი?
  - ა) ოდიპოსი კეთროვანივით განერიდა ცხოვრებას;
  - ბ) ადამიანები ერიდებიან მათთვის უინტერესო საკითხებს;
  - გ) კაცობრიობის არჩევანი – თუ რა გზით გააგრძელოს სიარული
7. რა არის მე-5 აბზაცის მთავარი სათქმელი ?
  - ა) XX საუკუნის ლიტერატურისა და ხელოვნების ფუნქციის განსაზღვრა;
  - ბ) ხელოვნების უარყოფით მხარეებზე საუბარი;
  - გ) ადამიანის ფუნქციაზე საუბარი რომანში;
8. რა არის ხელოვნების დანიშნულება მე-5 აბზაცის მიხედვით?
  - ა) ხელი შეუწყოს პიროვნების სრულყოფას, მის „გაადამიანურების“ საქმეს;
  - ბ) იყოს თავისთვის წყნარად, მშვიდად;
  - გ) ხელოვნებას ადამიანის ცხოვრება საერთოდ არ აინტერესებს;
9. რა აკავშირებს მე-4 და მე-5 აბზაცს ერთმანეთთან?
  - ა) მე-5 აბზაცი აბუნდოვნებს მე-4 აბზაცში გამოთქმულ აზრს;
  - ბ) მე-5 აბზაცი ავრცობს მე-4 აბზაცში გამოთქმულ აზრს;
  - გ) ეს აბზაცები საერთოდ არ უკავშირდებიან ერთმანეთს;
10. რა არის წერილის მთავარი სათქმელი?
  - ა) ისაუბროს რომანსა და მის დანიშნულებაზე;
  - ბ) ისაუბროს ხელოვნების გავლენაზე;      გ) ისაუბროს ზოგად მწერლობაზე;

## II სავარჯიშო - მოცემული წინადადების მიხედვით შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ, ან გ (20 ქულა)

*„იმ ღამით დათვრნენ გვარდიელები“.*

11. რომელი ჯგუფისაა ნაცვალსახელი „იმ“ ?
  - ა) პირის                      ბ) ჩვენებითი                      გ) მიმართებითი
12. რომელ ბრუნვაში დგას „იმ“ ნაცვალსახელი?
  - ა) ვითარებითი              ბ) მოქმედებითი              გ) ნათესაობითი
13. ზმნაში „დათვრნენ“ „ნენ“ არის:
  - ა) სუბიექტური პირის ნიშანი      ბ) ობიექტური პირის ნიშანი      გ) თემის ნიშანი
14. წინადადების რა წევრია „ღამით“?
  - ა) პირ.დამატება              ბ) განსაზღვრება              გ) დროის გარემოება
15. „ღამით დათვრნენ“ როგორი სინტაქსური კავშირია ამ წყვილს შორის?
  - ა) შეთანხმება              ბ) მართვა                      გ) მირთვა

## III სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი ა, ბ, ან გ (60 ქულა)

16. შემოხაზეთ მართებული ფორმა?
  - ა) მონასტრისგან მოშორებით;      ბ) მონასტრიდან მოშორებით;      გ) მონასტერიდან მოშორებით
17. შემოხაზეთ მართებული ფორმა?
  - ა) თქვენს შორის                      ბ) თქვენ შორის                      გ) თქვენსშორის
18. კილო, რომელიც ზმნით გამოხატულ მოქმედებას გადმოსცემს სასურველ–შესაძლებლად არის:
  - ა) კავშირებითი                      ბ) ბრძანებითი                      გ) თხრობითი

19. რომელი გვარის ფორმატებს განეკუთვნება შემდეგი ზმნები: ხატავს, მიუტანა, შეუღება, უკერავს  
 ა) საშუალო გვარს                      ბ) მოქმედებით გვარს                      გ) ვნებით გვარს
20. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით შესაფერისი სიტყვა?  
*„კეთილი .... ძალვითა სჯობს და ღმერთიც უფროსად შეუწირავს.“*  
 ა) სიტყვა                      ბ) ზრახვა                      გ) საქმე
21. შეავსეთ წინადადება, მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით შესაფერისი სიტყვები?  
*საშინელი დრო იყო, სისხლით, კვამლითა და ცრემლით გაჟღენთილი. ... სიტყვები .... ჩიტებივით  
 სადღაც მიმალულიყვნენ, ყველგან მხოლოდ ბოროტება, უსინდისობა და ძალმომრეობა ....*  
 ა) საიმედო, დამფრთხალი, პარპაშობდა  
 ბ) წრფელი, დამფრთხალი, პარპაშობდა                      გ) ბედნიერი, დამფრთხალი, პარპაშობდა
22. შემოხაზეთ რომელია მართებული ფორმა?  
 ა) მოუხარშია                      ბ) გაუსრესია                      გ) ჩაუყლაპია
23. შემოხაზეთ რომელი ზმნა გარდაუვალი?  
 ა) დავხუჭე                      ბ) დავასხი                      გ) მოეფინა
24. მესამე პირდაპირობიქეტური პირის ნიშანია:  
 ა) ჰ, ს                      ბ) გვ                      გ) არ აქვს
25. რამდენი მძიმეა გამოტოვებული ტექსტში?  
*დაქანცულმა მშვიერმა რუხმა მგელმა კურდღელს მიაგნო. გაედევნა სდია დაღამებამდე. კურდღელმა  
 ბუჩქებში არბენინა და სანამ არ დაღალა მანამდე არ მოეშვა.*  
 ა) ოთხი                      ბ) სამი                      გ) ხუთი
26. რომელია ძირი სიტყვისა „შეგვაერთებინა“?  
 ა) ვაერთ                      ბ) ერთ                      გ) გვაერთ
27. შემოხაზეთ, რომელ წინადადებაშია დაშვებული სტილისტური შეცდომა?  
 ა) მამამ შვილებს სთხოვა, აღქმა დაედოთ;  
 ბ) ლუარსაბი ტახტზე იწვა;                      გ) თვალუწვდენელ მინდორზე ვენახები გაეშენებინათ;
28. რომელ სერიას განეკუთვნებიან შემდეგი ზმნები: დაწერა, შეჭამა, დაწეროს.  
 ა) I სერია                      ბ) II სერია                      გ) III სერია
29. რომელია წყვეტილის მწკრივის ფორმა?  
 ა) ვარქმევ                      ბ) დავარქვი                      გ) დავარქმევ
30. შემოხაზეთ მოცემული ფრაზეოლოგიზმის მართებული მნიშვნელობა: „თავის მოქაჩალება“ არის  
 ა) თავის გადაპარსვა                      ბ) განსკუთრებით მონდომება საქმისა                      გ) თავის მოფხანა

**ბონუს– სავარჯიშო: შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა,ბ ან გ (15 ქულა)**

1. კუმშვის დროს იკრება:  
 ა) ა, ე, ო ხმოვანი                      ბ) ა, ო ხმოვანი                      გ) ა, ე ხმოვანი
2. სავრცობი სახელს შეიძლება დაერთოს:  
 ა) მიცემითში, ნათესაობითში, ვითარებითში;  
 ბ) ნათესაობითში, მოქმედებითში;  
 გ) მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში
3. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა: *შვილთ ნუ გაწირავთ!*  
 ა) ნათესაობითში                      ბ) ვითარებითში                      გ) მიცემითში
4. რამდენი ტიპისაა რიცხვითი სახელი?  
 ა) ორი                      ბ) სამი                      გ) ოთხი
5. კვეცა ხდება მხოლოდითი რიცხვის:  
 ა) ორ ბრუნვაში                      ბ) სამ ბრუნვაში                      გ) ხუთ ბრუნვაში